დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესი

I. პრაქტიკის მიზნები და შინაარსი

1. პრაქტიკა წარმოადგენს უმაღლესი განათლების აუცილებელ კომპონენტს, რომელიც სტუდენტს ხელს უწყობს პროფესიონალად ჩამოყალიბებაშიდა აძლევს საშუალებას, მის მიერ მიღებული თეორიული ცოდნა განავითაროს პრაქტიკულ გარემოში.
2. პრაქტიკა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ სამუშაო გარემოში გამოსცადოს მიღებული ცოდნა და შეძენილი კომპეტენციები კიდევ უფრო დახვეწოს და განავითაროს.
3. პრაქტიკა მიზნად ისახავს ასევე სტუდენტთა ხელშეწყობას პრაქტიკის ობიექტებში დასაქმების კუთხით.
4. პრაქტიკის მიზანია აგრეთვე მის ობიექტს შესძინოს მაღალაკვალიფიციური თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე სამუშაოების ეფექტიანად შესრულებას.
5. პრაქტიკის შინაარსი განისაზღვრება პრაქტიკის პროგრამით (სილაბუსით), რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:
   - პრაქტიკის მიზნები;
   - პრაქტიკის ხანგრძლივობა (განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე);
   - პრაქტიკის ობიექტი/ობიექტები და პრაქტიკის გავლის თანამიმდევრობა დროის ფორმატში;
   - სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესასწავლი/შესასრულებელი კომპონენტები;
   - სტუდენტის ინდივიდუალური დავალების შინაარსი და ვადები;
   - პრაქტიკის კონტროლის სახეები;
   - სტუდენტთა შეფასების ფორმები და მეთოდები;
   - სტუდენტთა შუალედური შეფასებების, მათ მიერ პრაქტიკის ანგარიშების მომზადების და დაცვის ვადები.
6. პრაქტიკის დასრულების შემდეგ მისი შედეგები განხილული უნდა იქნეს აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე.

II. პრაქტიკის სახეები და ობიექტები

1. პრაქტიკა, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს სასწავლო, გაცნობითი, საწარმოო, ტექნოლოგიური და სხვა სახის.
2. სასწავლო პრაქტიკა, როგორც წესი, ტარდება სტუ-ს ფარგლებში.
3. საწარმოო, ტექნოლოგიური და სხვა სახის პრაქტიკა, როგორც წესი, ტარდება სხვა საწარმო/ორგანიზაცია/დაწესებულების ფარგლებში.
4. შესაბამისად, პრაქტიკის ობიექტი შეიძლება იყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – სტუ) სასწავლო, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ცენტრი ან სხვა სტრუქტურული/ორგანიზა-

ციული ერთეული, აგრეთვე სხვა საწარმო/ორგანიზაცია/დაწესებულება (მათ შორის, დამსაქმებელი), რომელსაც აქვს პრაქტიკის ჩატარების სათანადო პირობები და რომელთანაც სტუ-ს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ხელშეკრულება/მემორანდუმი უნდა ითვალისწინებდეს საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურს, დასახელებას, სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

III. პრაქტიკის ორგანიზება

1. პრაქტიკის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტი. კონკრეტულად ის ასრულებს ფაკულტეტებზე პრაქტიკის ჩატარების ორგანიზაციის მონიტორინგს, ბრძანებების პროექტების შემოწმებას და სხვა;
2. პრაქტიკის ჩატარების ორგანიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და აკადემიური დეპარტამენტის უფროსს;
3. პრაქტიკის ჩატარებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პრაქტიკის ხელმძღვანელს;
4. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტების ოპერატიული მხარდაჭერისა და კონტროლის მიზნით პრაქტიკის ობიექტის მიერ ინიშნება ხელმძღვანელი ობიექტის პერსონალიდან;
5. პრაქტიკის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ფაკულტეტის დეკანისა და აკადემიური დეპარტამენტის უფროსის შეთანხმებით პრაქტიკის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე პრაქტიკის ობიექტზე იგზავნება რექტორის მიერ ხელმოწერილი წერილი, რომელშიც აღნიშნული იქნება II მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში მითითებული ხელშეკრულების/მემორანდუმის რეკვიზიტები, მიმდინარე სემესტრში პრაქტიკაზე გასატარებელი სტუდენტების რაოდენობა (ან სიები) და ჩატარების ვადები, მიზნები,ასევე საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური, დასახელება, პრაქტიკის ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა საჭირო მონაცემები.

IV. პრაქტიკის ხელმძღვანელი (სტუ-ს მიერ დანიშნული)

1. პრაქტიკის დაწყებამდე პრაქტიკის ობიექტზე ეწევა მოსამზადებელ სამუშაოს სტუდენტთა მისაღებად;
2. ამყარებს მჭიდრო კონტაქტს და თანამშრომლობს პრაქტიკის ობიექტის მიერ დანიშნულ ხელმძღვანელთან;
3. კონტროლს უწევს პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტების დროულად გამოცხადებას, შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის გავლას (პრაქტიკის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით);
4. სტუდენტებს გააცნობს პრაქტიკის პროგრამას (სილაბუსს);
5. თითოეულ სტუდენტს აძლევს ინდივიდუალურ დავალებას;
6. პრაქტიკის ობიექტის მიერ დანიშნულ ხელმძღვანელთან ერთად აკონტროლებს სტუდენტების მიერ შრომის შინაგანაწესის დაცვას;
7. კონტროლს უწევს პრაქტიკის ვადების დაცვას;
8. იხილავს სტუდენტთა პრაქტიკის დღიურებს და ანგარიშებს;
9. ახორციელებს სტუდენტების შუალედურ და დასკვნით შეფასებებს;
10. შეაქვს შეფასება სტუდენტის ცოდნის შეფასების ელექტრონულ უწყისში;

11. აკადემიურ დეპარტამენტს წარუდგენს ანგარიშს პრაქტიკის ჩატარების თაობაზე, აგრეთვე შენიშვნებს და წინადადებებს პრაქტიკის ჩატარების სრულყოფისათვის.

V. პრაქტიკის ობიექტის მიერ დანიშნული ხელმძღვანელი

1. ახორციელებს სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზებას პრაქტიკის პროგრამის (სილაბუსის) და გაფორმებული ხელშეკრულების/მემორანდუმის შესაბამისად;
2. უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარებას;
3. გააცნობს სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტის შრომის შინაგანაწესს;
4. აკონტროლებს სტუდენტების მიერ შრომის უსაფრთხოების წესებისა და შრომის შინაგანაწესის დაცვას;
5. თითოეულ სამუშაო ადგილზე უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უსაფრთხო მუშაობის პირობების შექმნას;
6. ხელმძღვანელობს სტუდენტთა ყოველდღიურ მუშაობას;
7. კონსულტაციებს უწევს სტუდენტებს პრაქტიკის პროგრამის შესასრულებლად;
8. ხელს უწყობს სტუდენტებს ინდივიდუალური დავალების შესრულებაში;
9. სტუდენტებს ეხმარება მათთვის საჭირო ინფორმაციის და მასალების მოპოვებაში;
10. პრაქტიკის დამთავრების შემდეგ ადგენს თითოეულის ტუდენტის დახასიათებას.

VI. სტუდენტის მოვალეობები პრაქტიკის მიმდინარეობისას

1. სტუდენტი ვალდებულია:
   ა) შეისწავლოს და მკაცრად დაიცვას შრომის უსაფრთხოების და საწარმოო სანიტარიის წესები;
   ბ) დაიცვას შრომის შინაგანაწესი;
   გ) სრულად შეასრულოს პრაქტიკის პროგრამით გათვალისწინებული (მათ შორის, ინდივიდუალური) დავალება;
   დ) პრაქტიკის განმავლობაში შეადგინოს დღიური და ანგარიში;
   ე) პრაქტიკის დამთავრებისას დღიური და ანგარიში წარუდგინოს პრაქტიკის ობიექტის მიერ დანიშნულ ხელმძღვანელს, ხოლო მის მიერ ხელმოწერის შემდეგ ჩააბაროს პრაქტიკის ხელმძღვანელს;
2. ანგარიშის გასაფორმებლად სტუდენტს პრაქტიკის ბოლოს გამოეყოფა ორი ან სამი დღე. პრაქტიკის დამთავრების შემდეგ სტუდენტი იცავს პრაქტიკის ანგარიშს ხელმძღვანელის წინაშე;
3. სტუდენტი, რომელიც ვერ/არშეასრულებს პრაქტიკის პროგრამას, ან მიიღებს უარყოფით შეფასებას ანგარიშის დაცვისას, ხელახლა გაივლის პრაქტიკას სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად, სასწავლო კურსის (საგნის) ანალოგიურად.
4. თუ პრაქტიკა სასწავლო კურსის კომპონენტია, ასეთი სტუდენტი არ დაიშვება სასწავლო კურსის დასკვნით გამოცდაზე და მას სასწავლო კურსი მთლიანად ექნება გასავლელი სხვა კომპონენტებში მიღებული შეფასების მიუხედავად.

VII. პრაქტიკის დღიურის წარმოება

1. პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიურად ჩატარებული აქტივობების შესახებ ჩანაწერები (ხელით) პრაქტიკის დღიურში, აღწეროს შესრულებული სამუშაოები და ის სიახლეები, რომლებსაც გაეცნო პრაქტიკის მიმდინარეობისას, ჩაინიშნოს საჭირო მონაცემები, დააფიქსიროს მიღწეული შედეგები;
2. პრაქტიკის დღიურის წარმოება სტუდენტს დაეხმარება პრაქტიკის ანგარიშის მომზადებაში;
3. პრაქტიკის დღიური უნდა შესრულდეს პირველ დანართში წარმოდგენილი ფორმით;
4. პრაქტიკის დღიური უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: პრაქტიკის ვადებს, პრაქტიკის ობიექტის დასახელებას, შესრულებელი სამუშაოს შინაარსს, პრაქტიკის ობიექტის მიერ დანიშნული ხელმძღვანელის ხელმოწერებს და სტუ-ს მიერ დანიშნული პრაქტიკის ხელმღვანელის ხელმოწერას.

VIII. პრაქტიკის ანგარიში

1. პრაქტიკის ანგარიში წარმოადგენს პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტის მიერ შესწავლილი და შესრულებული სამუშაოს მიმოხილვას.
2. პრაქტიკის ანგარიში უნდა შეიცავდეს შესავალს (პრაქტიკის ობიექტის დანიშნულება, მოკლე დახასიათება), სამუშაო უბნების/ადგილების აღწერას, ინფორმაციას სტუდენტის მიერ პრაქტიკის პერიოდში კონკრეტულად შესრულებული სამუშაოს შესახებ, მათ შორის ინდივიდუალურ დავალებას, დასკვნებს და წინადადებებს, გამოყენებული ინფორმაციის წყაროების ჩამონათვალს, შინაარსს (სარჩევს).
3. პრაქტიკის ანგარიშის თავფურცელი უნდა გაფორმდეს მე-2 დანართში წარმოდგენილი ფორმით;
4. პრაქტიკის ანგარიშის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 15 გვერდისა დანართების გარეშე.ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ^2 სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა 12. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ანგარიშის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე – 20 მმ. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.

IX. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება და დაცვა

1. პრაქტიკის შეფასება ხორციელდება შესაბამის სილაბუსში აღწერილი წესით და კრიტერიუმების საფუძველზე.
2. შეფასების ფორმებია შუალედური (მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასებები.
3. პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორო მეცადინეობების ვადებს ემთხვევა, შეფასდება ყოველკვირეულად. ამ მიზნით პრაქტიკის ხელმძღვანელი ყოველი კვირის ბოლოს განიხილავს სტუდენტების დღიურებს და ისმენს მათგან ინფორმაციას პრაქტიკის მსვლელობის შესახებ. სტუდენტი, რომელსაც პრაქტიკის

დღიური შედგენილი არ აქვს, ან დღიური არაა ხელმოწერილი პრაქტიკის ობიექტის მიერ დანიშნული ხელმძღვანელისაგან, არ შეფასდება.
მაქსიმალური ყოველკვირეული შეფასება შეადგენს 4 ქულას, მათ შორის პრაქტიკის დღიური - 2 ქულა, გამოკითხვა - 2 ქულა; სემესტრის განმავლობაში მიმდინარე შეფასების მაქსიმალური ჯამური ქულაა 60, მინიმალური დადებითი შეფასებაა 30 ქულა.

შეფასების კრიტერიუმებია:

ა) პრაქტიკის დღიური:

- 2 ქულა - დღიური სრულადაა შევსებული, შესრულებულია მაღალი ხარისხით, ტერმინოლოგია გამართულია, შინაარსი შეესაბამება პრაქტიკის პროგრამას.
- 1 ქულა - დღიური არასრულად არის შევსებული, შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია, ტერმინოლოგია ხარვეზიანია, შინაარსი ნაწილობრივ შეესაბამება პრაქტიკის პროგრამას;
- 0 ქულა - დღიური არასრულია, შესრულებულია უხარისხოდ, ტერმინოლოგია შეუსაბამოა, შინაარსი არ შეესაბამება პრაქტიკის პროგრამას ან დღიური არაა შედგენილი.

ბ) გამოკითხვა:

- 2 ქულა - სტუდენტი სრულად აღწერს პრაქტიკის მსვლელობას მოცემულ პერიოდში, მათ შორის კონკრეტულ უბნებს/სამუშაო ადგილებს, ასახელებს ფაქტებს, ტერმინოლოგია გამართულია;
- 1 ქულა - სტუდენტი აღწერს პრაქტიკის მსვლელობას მოცემულ პერიოდში, თუმცა სრულად ვერ აკონკრეტებს უბნებს/სამუშაო ადგილებს, უჭირს ფაქტების დასახელება, ტერმინოლოგია ხარვეზიანია;
- 0 ქულა - სტუდენტი ვერ აღწერს პრაქტიკის მსვლელობას, ვერ ასახელებს ფაქტებს, ტერმინოლოგია გაუმართავია.

დასკვნითი გამოცდის (დაცვის) დროს პრაქტიკის ხელმძღვანელი განიხილავს სტუდენტების მიერ პრაქტიკის ანგარიშს და ისმენს მათ პრეზენტაციას. სტუდენტი, რომელსაც ანგარიში შედგენილი არ აქვს, მათ შორის, შესრულებული არ აქვს ინდივიდუალური დავალება, არ შეფასდება.

დასკვნითი გამოცდის (დაცვის) მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის შეადგენს მაქსიმალური შეფასების 25%-ს, ხოლო მაგისტრანტებისათვის – 50%-ს. შეფასების სკალირებული ქულა მიიღება ფორმულით S=8 xM, სადაც M არის შეფასების კრიტერიუმების თანახმად მიღებული ქულა.

შეფასების კრიტერიუმებია:

- 5 ქულა - პრაქტიკის ანგარიში სრულად არის შესრულებული, მათ შორის ინდივიდუალური დავალება; სტუდენტის მსჯელობა პრაქტიკის ანგარიშის შინაარსის შესახებ გამართული და დამაჯერებელია. ახდენს მასალის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებას. გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია;
- 4 ქულა - პრაქტიკის ანგარიში თითქმის სრულად არის შესრულებული, მათ შორის ინდივიდუალური დავალება; სტუდენტის მსჯელობა პრაქტიკის ანგარიშის შინაარსის შესახებ კარგ დონეზეა. ასახავს წარმოდგენილი მასალის

შინაარსს, არსებითი შეცდომები არაა; გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია.

- 3 ქულა - პრაქტიკის ანგარიში თითქმის სრულად არის შესრულებული, მათ შორის ინდივიდუალური დავალება; სტუდენტის მსჯელობა პრაქტიკის ანგარიშის შინაარსის შესახებ დამაკმაყოფილებელია; აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები; ტერმინოლოგია ხარვეზიანია.
- 2 ქულა - პრაქტიკის ანგარიში მხოლოდ ნაწილობრივ არის შესრულებული, მათ შორის ინდივიდუალური დავალება; სტუდენტის მსჯელობა პრაქტიკის ანგარიშის შინაარსის შესახებ არასრული და არადამაჯერებელია. არ არის გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია;
- 1 ქულა - პრაქტიკის ანგარიში ან/და ინდივიდუალური დავალება ხარვეზიანია; პასუხი არსებითად მცდარია.
- 0 ქულა - პრაქტიკის ანგარიში, მათ შორის ინდივიდუალურ დავალება შესრულებული არაა.

4. პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორო მეცადინეობების ვადებს არ ემთხვევა, შეფასდება სილაბუსში აღწერილი წესით, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად. მაგალითად, დასკვნითი გამოცდა (დაცვა) შეიძლება ჩატარდეს ზემოთაღწერილის ანალოგიურად, ხოლო შუალედური შეფასება/შეფასებები შეიძლება განხორციელდეს პრაქტიკისთვის გამოყოფილი დროის ფორმატიდან გამომდინარე (მაგალითად, ყოველდღიურად ან სხვა სიხშირით).

დანართი 1

სტუდენტის პრაქტიკის დღიურის ფორმა

სტუდენტის პრაქტიკის დღიური

პრაქტიკის ობიექტის დასახელება .....

პრაქტიკის ვადები .....

N	შესრულებელ სამუშაოთა და სხვა ინფორმაციის მოკლე შინაარსი	პრაქტიკის ობიექტის მიერ დანიშნული ხელმძღვანელის ხელმოწერა
1	2	3

პრაქტიკის ხელმძღვანელი: .....

სახელი, გვარი, ხელმოწერა

დანართი 2

პრაქტიკის ანგარიშის თავფურცელის ფორმა

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

.....ფაკულტეტი

..... პრაქტიკის ანგარიში

განათლების საფეხური _____

პროგრამა _____

სტუდენტის სახელი, გვარი _____

სწავლების წელი _____სასწავლო წელი _____

ჯგუფი _____

საკონტაქტო ინფორმაცია, ტელეფონი _____

პრაქტიკის ვადები _____

პრაქტიკის ობიექტის დასახელება _____

სამართლებრივი ფორმა და დასახელება _____

დაქვემდებარება (არსებობის შემთხვევაში) _____

ადგილმდებარეობა _____

პრაქტიკის ობიექტის მიერ დანიშნული ხელმძღვანელი _____
სახელი, გვარი, ხელმოწერა, თარიღი

სტუ-ს მიერ დანიშნული ხელმძღვანელი _____
სახელი, გვარი, ხელმოწერა, თარიღი

20.. წელი